



წარმოგიდგენთ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ შესაბამისად თვითრეგულირების სისტემის აუდიტთან დაკავშირებულ შპს „მედ ეფემ“ ის 2019 წლის ანგარიშს:

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რადიოს თვითრეგულირების მექანიზმი 2015 წლიდან მოქმედებს.

რადიოში შექმნილია დავის განმხილველი ორგანო, რომელიც არსებობს ორი ინსტანციის სახით: პირველი ინსტანცია–„კომისია“ და მეორე ინსტანცია სააპელაციო საბჭო. კომისიის წევრები არიან მაკა საბელაშვილი მენეჯერი, თემო, ხასია მენეჯერი დათო ცერცვაძე დამოუკიდებელი წევრი.

დაინტერესებულ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ „მედ ეფემ“ მა დაარღვია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილი ეთიკური სტანდარტები და მისი უფლებები, შეუძლია მიმართოს „მედ ეფემი“ ს საჩივრით და მოითხოვოს რეაგირება. მისამართზე კოსტავას 68 მესამე პავილიონი. ან გამოაგზავნოს ელექტრონულად E\_mail: info@medfm.ge





## რადიო ხელმძღვანელობს შემდეგი შინაგანაწესით:

ჟურნალისტები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ მაუწყებლობა (ინტერნეტით გავრცელებულის ჩათვლით) ემყარებოდეს დაზუსტებულ ფაქტებს.

ჟურნალისტები არ იყენებენ მასალას, რომელიც ეფუძნება მითქმა-მოთქმას, ჭორს ან სხვა დაუსაბუთებელ ინფორმაციას. ფაქტობრივი შეცდომები, თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, უმოკლეს დროში უნდა გამოსწორდეს.

ეთერში გადაცემული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ფაქტების კონტექსტში, რომელიც ხელს შეუწყობს მოვლენებსა თუ საკითხებში მსმენელის გარკვევას და ვითარებაში სიცხადის შეტანას ფაქტების დაუმახინჯებლად ან მიუკერძოებლად ასახვით. საინფორმაციო სამსახური დამოუკიდებელი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის, მმართველი თუ ოპოზიციური ჯგუფისგან, კომერციული ან სხვა, კერძო ინტერესის მქონე ორგანიზაციისგან. არ უნდა ეწეოდეს კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ რელიგიური შეხედულებების მხარდაჭერასა და პროპაგანდას.

ახალი ამბები უნდა შეიცავდეს ზოგადი ინფორმაციისა და განმარტების ელემენტებს, რომლებიც მსმენელს დაეხმარება, გაერკვეს მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობასა და შესაძლო შედეგებში.

საინფორმაციო მაუწყებლობა მუდამ დაცული უნდა იყოს მშვიდი დაზომიერი წყევანით, ადგილი უნდა ეთმობოდეს ცივილიზებულ, გონივრულ მსჯელობას, რომელიც ასახავს ყველა ადამიანის უფლებათა პატივისცემას.

მაუწყებლობა და გავრცელებული ინფორმაცია არ უნდა შეიცავდეს ცალკეული პირის, პირებისა თუ ჯგუფების მიმართ რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური, სოციალ-ეკონომიკური ან კულტურული ნიშნით შეურაცხყოფელ, დისკრიმინაციულ განცხადებებს და უნდა შეესაბამებოდეს კორექტულობისა და გემოვნების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს და რაც მთავარია უნდა იყოს მიზანმიმართული ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირებისაკენ.

თანამშრომლები, მაუწყებლობისა თუ ინტერნეტ-მასალის შექმნაში მონაწილე მოწვეული ექსპერტები თავიანთ საქმიანობაში უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებს უნდა იცავდნენ. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად როგორც სამაუწყებლო სივრცეში, ისე მის საზღვრებს გარეთ – კერძო პირებთან, ჯგუფებთან, პოლიტიკურ თუ კომერციულ ინტერესებთან მიმართებით.